




პროლეტარებო ყველა ქვეყანაში, შეერთდით!



№ 1
(3485)

1968 წ.

ინაწარი,
ორშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საპარტვილოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლელო Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
24-ე წელი.

ის რა დილა გაგვითანდა!

თითქოს სულში თოვს და ბარდნის, შეეფიქრებოდა დაიღვარა... ამ განთიადს იმ დღეს ვადრის, როცა გულმა გაიხარა.
ირგვლივ სხივთა სიუხვევა, ეს დღეც დღეობს რაკი თეთრად.
გულმა გულს მთვლიერად, ეს რა დილა გაგვითანდა! ილია აროსია
ფოტო ფ. კრიმსკისა.

მსურველად, გულმოდგინედ...


საბჭო ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულმოდგინედ მიულოცეს საბჭოთა ხალხს ახალი, 1968 წელი.

მილოცვაში ნათქვამია: გასულმა, საიუბილეო წელმა ახალი დიდი წარმატებანი მოგვცა სახალხო მებრუნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ურღვევი ძმური ერთიანობით, ინტერესებისა და მიზნების ერთობით შედუღებული მრავალეროვანი საბჭოეთის მშრომლები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქალაქებისა და სოფლების მშრომლებმა მალა აღმართეს სოციალის-

ტური შევიძრების დროს, აქტიურად იბრძვიან, რათა ღირსეულად შეეგებონ დიდ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავს, ვადად — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ სახალხო მებრუნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ჩვენს სახლებში შემოდის 1968 წელი.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულმოდგინედ მილოცავენ ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წელს და გიხსენებენ წარმატებებს შრომაში, სწავლაში და შემოქმედებაში, მთელ საქმეებს ცხოვრებაში.



სასპორტო
ანგარი

1968 წლის დავებებს ახალი ამგებების საბჭომ რამდენიმე საბჭოთა სპორტსმენს მივართა შედეგი შეაქვით:

1. შინ მივანდინათ ვლადიმერ წლის № 1 სპორტსმენად?
2. როგორმა სპორტსმენმა გამოიჩინა თავი 1967 წელს თქვენს სახეობაში?
3. რას უსურვებდით თქვენს თავს 1968 წელს?
4. რას უსურვებდით მსოფლიო სპორტს ოლიმპიურ წელს?



იგი ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო, შედიოდა მებრუნე მთიანეთის მსოფლიო ჩემპიონობაში.

2. 22 წლის მოდესტას პაულაუსკასი, წლებად მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონატებში პაულაუსკასი ყველაზე უკეთესი თავდასხმელი იყო გუნდისა, რომელიც ჩვენ ორივე ვითარებაში და რომელმაც ოქროს მედლები მოიპოვა ურუგვაიშიც, ფინეთშიც.

3. ჩვენს კოლექციურ ინახება სსრ კავშირის ჩემპიონის რვა, ევროპის ჩემპიონის სუთი, მსოფლიოს ჩემპიონის ერთი ოქროს მედალი, ორი ოლიმპიური ვერცხლის მედალი. ამ კოლექციას მხოლოდ ოლიმპიური „ოქროს“ აქვია, და მე ვოლნოვს, როგორც სპორტსმენს, ვუსურვებ 1968 წელს ეს მედალიც დაოქროსა.

4. ვუსურვებ ჩემთვის სხვადასხვა კარგი სრიალიც.

4. ვუსურვებ, რომ არც 1968 წელს არც მდებარე სპორტში არ იქონიებს კრიზისი.

ლევ იანოვი,
მსოფლიოს საუკეთესო მეტარე

1. როგორც ყველა სპორტსმენს, როგორც ყველა ადამიანს, მეც მუდამ მახარებს ახალი რეკორდები, ახალი მიღწევები, ახალი სახელების გამოჩენა დიდ სპორტში. მსატყურელი ტანვარჯიშის მოყვარულებისთვის ალბათ ძალიან სასიამოვნო იყო ახალი მსოფლიო ჩემპიონის დაბადება კოპენჰაგენის ჩემპიონატში. ეს ჩემპიონი ლენა კარპუხინაა. ამ ამბავს გულგრილად არც მე შეგებდებოდა. და მაინც, ჩემი სიმპათია უფრო მეტად ახალ ვარსკვლავს კი არა, სპორტის ვეტერანს


— თავისუფალი სტილის მოჭიდავეს ალი ალიაევს გვუთხრან. უძლიერესობის ხუთჯერის მოპოვება მართლაც რომ სპორტული გმირობაა. მე ვამაყობ ჩემი თანამემამულეთ, სულითა და გულით ვუსურვებ მას ოლიმპიურ ხალიჩაზე გამარჯვებას.

2. ფეხბურთი სპორტის ის სახეობაა, რომელშიც მიღებული თუ მოგერიებული ბურთების რიცხვი უფრო მეტად არ გამოდგება ობიექტურ კრიტერიუმად ამა თუ იმ მოთამაშის შესახებ. ხანდახან გუნდი არც ისე კარგად თამაშობს, თუმცა მის შემადგენლობაში ექსტრა-კლასის ფეხბურ-

თელებიც არიან. ასეთი ვრცელი შესავალი იმიტომ გავაკეთე, სათქმელს, რომ მინდა რითიმე გავამართლო პასუხი: ჩემი ფავორატი გახლავთ პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებო. პორტუგალიის ნაკრები გამოავლდა ევროპის ჩემპიონატს, მაგრამ ეუსებო მანაც ვუსებო!

3. მუდამ ფორმაში ყოფნას.


4. მინდა, რომ ცხოვრებაში მტკიცედ მოიკიდოს ფეხი ოლიმპიადების დევიზმა: „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“. მინდა, რომ მსოფლიოში უფრო ბევრი მგობრული სპორტული შეხვედრა ტარდებოდეს.



ზ. საკანდელიძე



მ. ხურცილავა




ბ. მებრძევილი



რ. რურუა




მ. ვახაჩიძე




გ. გვჭინაშვილი




მ. ხალაბაძე



გ. ალქასანდრიძე



გ. ლომიძე



გ. სანაძე

ყველაზე კოკულარული...

მინ არის ყველაზე კოკულარული სპორტსმენი საქართველოში 1967 წელს?

ასეთი შეკითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის რედაქციამ თავის მკითხველებს.

„ლელოს“ სახალწლო კონკურსი, რა თქმა უნდა, მიზნად არ ისახავს რეპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ვინაობის დადგენას, ვინაიდან შეითხველთა ნაწილი ასეთი საკითხის გადაწყვეტაში ნაკლებად კომპეტენტურია. ამიტომ კონკურსის საშუალებით ირკვევა ამა თუ იმ სპორტსმენის არა სიძლიერის, არამედ პოპულარობის ხარისხი.

რედაქციაში უამრავი წერილი შემოვიდა, რომელთა გაცნობის შედეგად დადგინდა საქართველოს ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ათეული. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი შეითხველი ცდომილად დასაბუთოს თავისი კანდიდატურების უპირატესობა. მაგალითად, თბილისელი სტუდენტი თ. უმეგრძეძე გვწერს: „უპირატესობას ვანიჭებ სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების წევრს ზ. საკანდელიძეს, რომელიც საიუბილეო წელს ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ ევროპის, და ამავდროს აღიარებულ იქნა ევროპის საუკეთესო მცველად“. აი, კიდევ ერთი წერილის შინაარსი (ავტორი — თბილისელი ნ. გაგუა): „ყველაზე პოპულარული სპორტსმენად საქართველოში ზ. საკანდელიძე მიიჩნია. რატომ ვანიჭებ უპირატესობას მას რ. რურუასთან შედარებით, რომელიც წლეულს მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი? იმიტომ, რომ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონები ადრეც გვეყავა, კალათბურთში კი ზ. საკანდელიძე, როგორც იტყვიან, პირველი მეტაცხალია“.

არის კიდევ ბევრი საინტერესო მოსაზრება, წინადადება. რედაქციის საშუალება არა აქვს გაცნოს იხილნი მკითხველებს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: სპორტის მოყვარულთა უმრავლესობა გულისხმობს, დი-

დი ინტერესით მოეკიდა კონკურსს, რისთვისაც „ლელოს“ რედაქცია გულითად მადლობას უხდის.

მაშ ასე, საქართველოს პოპულარულ სპორტსმენთა ათეული:

1. ზურაბ საკანდელიძე (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კალათბურთში, ევროპის საუკეთესო მცველი) — 1592 ქულა.
2. მურთაზ ხურცილავა (სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი) — 1435 ქულა.
3. ალქასანდრიძე მებრძევილი (სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის ჩემპიონი ჯოჯოხეთში, ორ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული) — 1248 ქულა.
4. რომან რურუა (მსოფლიოს ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში) — 1084 ქულა.
5. იმარ ვახაჩიძე (მსოფლიოს რეკორდსმენი ველოსპორტში, სსრ


კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის ჩემპიონი) — 1059 ქულა.

6. ნონა გვჭინაშვილი (სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის მას აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი მქონდა მოჭადრაკეთა შორის; სამ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული) — 696 ქულა.
7. გურამ ხალაბაძე (მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი თავისუფალ ჭიდაობაში) — 478 ქულა.
8. ნანა ალქასანდრიძე (ჭადრაკ-

ში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე) — 258 ქულა.

9. ზოთა ლომიძე (ევროპისა და მსოფლიოს პირველობების მეორე პრიზორი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის ჩემპიონი) — 288 ქულა.
10. ვიქტორ სანაძე (ევროპის ჩემპიონი, მეხვიკოს III წინაოლიმპიური კვირეულის ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტაკადემიის პრიზორი მძლეონობაში) — 229 ქულა.

(გაგრძელება)



ალქასანდრიძე მებრძევილი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ჯოჯოხეთში

1. უძლიერესად ერთნაირი უფლებით შეიძლება ბევრი ჩაითვალოს. მაგრამ რაკი არჩევანზე მიდგა საქმე, ვიტყვი, რომ საუკეთესოდ მიიჩნია არა ერთი კაცი, არამედ მოთამაშეთა ერთიანი ანსამბლი — სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები, რომელმაც პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ჩვენი ბიჭები დიდხანს იყვნენ 11 ადგილზე. ჩემი აზრით, სპორტსმენისთვის ყველაზე უსამართლო ამ ადგილის შეჩვევაა. მანძილი 11 ადგილიდან პირველამდე ყველაზე გრძელია და ხანდახან მთელი ცხოვრება საჭირო მის დასაძლევად. სსრ კავშირის კალათბურთელები ოლიმპიადებში და მსოფლიო ჩემპიონატებში მრავალი წლის მანძილზე უთმობდნენ გამარჯვების კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

საბედნიეროდ, ჩვენს ოსტატებს არ ჩაუკრათ პირველობის სურვილი. 2. უნდა დავასახლო უიმბლდონში გამარჯვებული, ავსტრალიელი ჯონ ნიუკომმი, რომი ემერსონი, ენტონი რიჩი. თუმცა ისინი მარტო გასულ სეზონში როდი იყვნენ უძლიერესნი. ეს სპორტსმენები დიდი ხანია ლიდერობენ მსოფლიო ჩოგბურთში. სწორედ ამიტომ ვარ აღტაცებული მათი საუკეთესო სპორტული ფორმით. 3. უკეთ თამაშს. მინდა უფრო მეტი დრო დავუთმო მომავალ სეციკალიობას — მე თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტის განყოფილების სტუდენტი ვარ. 4. სპორტსმენის პიროვნების უფრო მეტი გამოვლენას შევიძინებთ დროს, შეუპოვრობას სპორტის ესთეტიკური თვითმყოფლობის დამტკიცებაში, მინდა, რომ სპორტს ხანმოკლე აზარტის გამომწვევი კი არა, ხანგრძლივი, სასიხარულო, თუ გენებათ, ფილოსოფიური განხვის სურვილის მომგვრელი სანახაობა იყოს.



იგორ ტამაზიანიანი, ევროპის რეკორდსმენი სიგრძეზე სტომაში

1. ჯიმ რაიანი. მას იმიტომ როდი ვასახლებ, რომ ჩემს სპორტში — მძლეობის მხარე უფრო მეიოლება გმირების მოძებნა. მე მგონია, რომ ასაღვარდა ამერიკელის მიღწევა 1,500 მეტრზე რბენაში — 3 წუთი და 33,1 წამი უმაღლეს შედეგებას იმსახურებს. ამასთან, მისი შედეგები მიღწევა და ნახევარ მიღწევა სპეცილისტებს აიძულებს ღრმად ჩაუფიქრდნენ ადამიანის შესაძლებლობებს სპორტში. ამას გარდა, რაიანი თავისი სპორტული პრაქ-

ტიკით ამტკიცებს, რომ საშუალო მანძილზე რბენაში სულ ასაღვარდა მძლეობისავე შეუძლიათ მნიშვნელოვანი რეკორდების დამყარება. სულ ცოტა ხნის წინ კი ასე როდი მიიჩნდა.

2. სიგრძეზე სტომაში გამიჭირდება საუკეთესოს დასახლება. სეზონის საუკეთესო შედეგი (835 სმ), რომელიც ამერიკელ რაფ ბოსტონის მსოფლიო რეკორდს უდრის, ჩემი ნაჩვენებია. მაგრამ ვფიქრობ, რომ მეტი შემიძლო. რაც შეეხება მძლეობის საერთოდ, მე უკვე დავასახლე საუკეთესო, სეზონის მეორე გმირად იანის ლუაისი მიიჩნია. მან ორჯერ ტყორცნა შუბი 90 მეტრს იქით. ამას ხორვეგიელი მსოფლიო რეკორდსმენა ტერიო პედერსენიც კი ვერ აღწევდა. დარწმუნებული ვარ, რომ 1968 წელს შუბის მტყორცნელებს ახალი რეკორდსმენი იყოლებათ და ეს იქნება ლუისისი.

3. ჯანმრთელობას. დანარჩენი მოგვარდება.

4. ვისურვებდი, რომ უფრო ხშირად ტარებდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებს, რომ მოიპოვონ რასობრივი, პოლიტიკური და საერთოდ ყოველგვარი დისკრიმინაცია სპორტში, რომ მსოფლიოს სტადიონებზე შეიმობინდნენ პატიოსნური იდეალები.

(გაგრძელება 80-3 გვ.)

ბასიონების წინ...
სტოპოტილი 9 გენერალისა.

ეროვნული ბიზლიოთქა



(დასასრული)



გალინა არკოვნაჰაჩიკიანა,
ტაიოს ოლიმპიადის ჩემპიონი

1. სულ ასლანს გაზეთებში წავიკითხე, რომ ავსტრალიელმა სტაიერმა დერეკ კლეიტონმა ასლი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მარათონული დისტანცია 2 საათში, 9 წუთსა და 36,4 წამში გაიბრუნა. თუ ეს შედეგი თითქმის ფანტასტიკური ერვნებათ ისეთ სპეციალისტებსაც კი, როგორც ემილ

ზატორეკია, ჩემი გაოცებაც გასაგებია. მე ხომ მარათონი რაღაც არარეალური მგონია, ჩემი აზრით იგი ხომ ბევრად ადვილდება ადამიანის შესაძლებლობებს. ასეთ გრძელ მანძილზე ბრძოლა, ბრძოლა უმეტესად შენივე თავის, შენივე დაღლილობის დასაძლევად — სპორტის აზრი სწორედ ეს არის. აბეზე ბიკილა, რომელმაც ორ ოლიმპიადაში მთიეთ მარათონი, მუდამ გმირად შესახებოდა. ასლა კი კლდეტონმა აჯობა მას, აჯობა ერთბაშად 3 წუთით! წარმომიდგენია, რა ბრძოლა გაჩაღდება მათ შორის მესიკოში.

2. მე რომ მკითხოთ, ყველაფერი გასაგებია. ჩიხედეთ მსოფლიო რეკორდების ცხრილში. იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ჩემი გვარი გუწოდა, ასლა სხვას ნახავთ. კეტი ბოლი — აი, ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩენილი სპორტსმენი ჩვენს სახეობაში.
3. ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, რომ მესიკოში მეორე სიჭაბუკე ვნახო.
4. ძალიან მინდა, რომ სპორტი მუდამ რჩებოდეს მაგნიტად ადამიანთა გულუბნისთვის, მინდა, რომ მან არასოდეს გაუტყდეს გული ხუთ კონტინენტზე მცხოვრებ გულშემატკივრებს.



ნატაზა ჰაჩიკიანა,
სსრ კავშირის აბსოლუტური
ჩემპიონი ტანვარჯიშში

1. ჩემი სპორტული სპეციალობა ვიწროა და საკმაოდ დად დროს მართმეფს. ამასთან, მე სტუდენტი ვარ და მუდამ როდი შემოდის კეთილსინდისიერად შევასრულო მაცურებლის როლი. ამიტომ ჩემი შეფასება სუბიექტურია იქნება. წლის საუკეთესო სპორტს-

მენად ფიგურისტი ვოლფგანგ შვარცი მიმაჩნია, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატში იგი მეორე იყო. შვარცის გამოსვლა მუდამ უშედავთაა. იგი ფიგურული სირიალის სპორტულ დასაბამს უჭერს მხარს, რაც მაცურებელს მუდამ როდი მოსწონს. მაგრამ აბა, რა სჯობს სპორტსმენის გამბედაობას!

2. მან, ვინც წლის უდიდეს შეჯიბრებებში გაიმარჯვა, — ვერა ჩასლავსკამ, მიხეილ ვორონიჩინმა. უნდა ვახსენოთ მათი მეტოქეებიც — ისინი არც ისე ცოტანი არიან. ვამორიციხული როდია, რომ ვახსენებო მათ.

3. ოლიმპიადაში გამარჯვება ჩემი ყველაზე დიდი სურვილია.

4. ოლიმპიადების კოდექსში ბევრი ლამაზი სიტყვაა ჩაწერილი მეგობრობაზე, ხალხთა ურთიერთგაგებაზე, სპორტული ბრძოლის კეთილშობილებასა და სამართლიანობაზე. მინდა მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს ვუსურვო, რომ მესიკოს თამაშები და ოლიმპიური წლის ყველა სხვა შეჯიბრება ამ დევზის ზორცემესმა იყოს.

ბელგრადში იტამაშებენ...

ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ ახლან ბელგრადს დაბრუნდა დილანტატი ს. გლოგორიჩი, რომელიც ტურნისის საზოგადოების და მალიორკის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდა. რიგორც ცნობილია, ტურნისში მან მ. ტალთან მატჩის უფლება მოიპოვა, ხოლო მალიორკაში V ადგილი დაიკავა. დილანტატი მყისვე ტურნისის ტეპი „დაესწინ თავს“. აი, ზოგიერთი მათი შეკითხვა და გლოგორიჩის პასუხები:
● სად გაიმართება თქვენი მატჩი ტალთან?
— ამ მატჩის გამართვის უფლებ-

ა ითხოვს გერმანულმა ქალაქმა ზოლინგენმა და ბელგრადმა. მატჩი ალბათ ბელგრადში გაიმართება.
● როდის დაიწყება თამაში?
— ივნისში. არის წინადადება, რომ აპრილში დაიწყდეს.
● ხომ არ გვეტყვი, რა შედეგია მოსალოდნელი?
— ტალი იყო და არის დიდი მოქალაქე. მასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. რაც შემძლია ყველაფერს გავაკეთებ, რომ მეტოქეს ლირსეულად დავუხვედ.

— გერ აღრეა. საჭიროა გეგმის მოფიქრება და შემდეგ სისტემატური მუშაობა.
● მართლა იხე კარგად თამაშობს თუ არა ლარსენი, როგორც მისი შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას?
— ლარსენი შესანიშნავად თამაშობს. ბოლო წლებში იგი შესაჩვენად დაოსტატდა და ახლა ერთერთი უძლიერესია მსოფლიოში. მალიორკაში კარგად თამაშობდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ბოტვინიკი და სპისლოვი. ბოტვინიკმა პირდაპირ დავკარგო.

ი ს ე ვ პიტლარილი

გოლოდნელმა მარცხმა ირმონდებლბთან, როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დასკვნითა თამაშების მიღმა დატოვა. ამას დაუყვებელი მოჰყვა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ი. მარკოს გადაღობა.
დიდი კამათის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციამ მის ნაცვლად მოუხმო გამოჩენილ მწვრთნელ რ. ვიტლაჩილს, რომელიც ახლა იენის „რაიფს“ უღვას

სათავეში. ვიტლაჩილს ავსტრალიკლუბთან კონტრაქტი უთავდება და სამშობლოში ბრუნდება.

ომისშემდგომი ჩეხოსლოვაკიური ფეხბურთის ყველა მნიშვნელოვანი მიღწევა ვიტლაჩილის სახელობაა დაკავშირებული. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს 1962 წელს ჩეხოსლოვაკიულმა ვერცხლის მედლები მსოფლიოს VII ჩემპიონატში, იგივე ვიტლაჩილი ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებს ტოკიოში, სადაც მან კვლავ ვერცხლის მედლები ხედა წილად. იმ დღიდან მოყოლებული, ვიტლაჩილს შეერქვა „ვერცხლის მწვრთნელი“.

ახალი პენიტენლი — კ. ზეპეკი


გარღიანი ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1 იანვრიდან გერმანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას შეუდგა კ. ზეპეკი, რომელიც 7 წლის განმავლობაში კ. შოიშის თანაშემწე იყო.
პირველი ღონისძიება, რომელშიც ზეპეკი აპირებს მონაწილეობას, გახლავთ „რვათა ტურნირი“ ჩილიში, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში დაიწყება. შემდეგ გუნდი სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მოემზადება.

მასოპუსტი პროფესიონალი ხ რ ე ბ ა

გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი ნახევარმცველი ი. მასოპუსტი, რომელმაც 63 მატჩი ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში, პროფესიონალი ფეხბურთელი ხდება. მისი თხოვნით ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციამ და პრალის „ლუკამ“, სადაც მასოპუსტი წლების განმავლობაში თამაშობდა.

როგორც კი გამოცხადდა მასოპუსტის ეს გადაწყვეტილება, მან ბევრი მიწვევა მიიღო ევროპისა და სამხრეთ ამერიკის კლუბებისგან. ამ დღეებში პრალში ჩავიდა სამხრეთამერიკელი მენაჯერი ს. ოსესი, რომელმაც მასოპუსტს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა რიო-დე-ჟანეიროს კლუბ „ფკ ამერიკასთან“, ოსესმა მასოპუსტი ჩილის „ტორნეო ოქტავონის“ („რვათა ტურნირის“) საბაბით სტუმრადც მიიწვია.


მხიარული ფანქრით



სახალწლო მოტივები.



ნახ. რ. ხანალირაძისა.



„ტიპი“ (ბაზელი).

„ლელე“ შემდგომი ნომერი
გამოვა 4 იანვარს

რედაქტორი მ. პაპაზაძე.